დოკუმენტის კოდი: EEU-POL-ACR-01
ვერსია: 1.0
დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს
2024 წლის 25 სექტემბრის დადგენილება N06

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ეთიკის კომიტეტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში — „უნივერსიტეტი“) ეთიკის კომიტეტის (შემდგომში — „კომიტეტი“) სტატუსს, მიზნებს, უფლებამოსილებებს, შემადგენლობასა და საქმიანობის წესს.
2. ეთიკის კომიტეტი არის უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი კოლეგიური ორგანო, რომელიც განიხილავს ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.
3. კომიტეტის კომპეტენცია არ ვრცელდება კვლევის ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც რეგულირდება ცალკე კვლევის ეთიკის მექანიზმებით.
4. ეთიკის კომიტეტი გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან დაუშვებელია.
5. ამ დებულების მიზნებისთვის, ინტერესთა კონფლიქტი ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც პირის პირადი, პროფესიული, ფინანსური ან სხვა ინტერესები რეალურად, პოტენციურად ან აღქმულად ზეგავლენას ახდენს ან შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე ან გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

მუხლი 2. კომიტეტის მიზნები და ამოცანები

1. კომიტეტის მიზანია უნივერსიტეტში ეთიკური მმართველობის, კეთილსინდისიერი ქცევის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.
2. კომიტეტის ამოცანებია:
   ა) პრეტენზიებისა და საჩივრების განხილვა ეთიკური ქცევის, დისკრიმინაციის, შევიწროების, ინტერესთა კონფლიქტისა და სხვა ორგანიზაციული ეთიკური საკითხების შესახებ;
   ბ) ეთიკური დარღვევების პრევენცია და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
   გ) კონფიდენციალურობისა და შურისძიებისგან დაცვის პრინციპების დაცვა;

დ) ეთიკური კულტურის გაძლიერების ხელშეწყობა.

მუხლი 3. კომიტეტის უფლებამოსილებები

1. კომიტეტი უფლებამოსილია:
   ა) მიიღოს და განიხილოს ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული განცხადებები, პრეტენზიები და საჩივრები;
   ბ) მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისგან;
   გ) გასცეს დასკვნები და რეკომენდაციები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის;
   დ) საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სხვა შიდა ორგანოებს საკითხის კომპეტენციის ფარგლებში გადასაცემად;
   ე) შეიმუშაოს წლიური საქმიანობის ანგარიში.
2. კომიტეტის რეკომენდაციები სავალდებულოა უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოებისათვის განსახილველად. ისინი ვალდებულნი არიან მოახდინონ რეაგირება კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და რეაგირებული ზომების შესახებ წერილობით აცნობონ კომიტეტს.

მუხლი 4. კომიტეტის შემადგენლობა

1. ეთიკის კომიტეტი შედგება არანაკლებ 5 წევრისგან.
2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან:
   ა) აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები;
   ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი;
   გ) სტუდენტთა წარმომადგენელი (საკონსულტაციო ხმით), რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
3. კომიტეტის წევრებს უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით ნიშნავს წარმომადგენლობითი საბჭო 5 წლის ვადით.
4. კომიტეტის წევრი ვალდებულია თავი შეიკავოს საკითხის განხილვაში მონაწილეობისაგან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში.
5. კომიტეტის წევრები ვალდებულნი არიან უფლებამოსილების დაწყებისას და შემდგომ ყოველწლიურად წარადგინონ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ წერილობითი განაცხადი.

მუხლი 5. შეხვედრების გრაფიკი და მუშაობის წესი

1. ეთიკის კომიტეტი იკრიბება რეგულარულად, თვეში ერთხელ.
2. რიგგარეშე სხდომა შეიძლება ჩატარდეს საჭიროების შემთხვევაში.

3. სხდომები შეიძლება ჩატარდეს ფიზიკურ ან დისტანციურ ფორმატში.
4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა უმრავლესობა.
5. სხდომების შესახებ წარმოებს ოქმი.
6. განცხადების მიღებიდან მისი განხილვა იწყება არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
7. კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განხილვის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. განცხადებების, პრეტენზიებისა და საჩივრების წარდგენა

1. ნებისმიერ პირს უფლება აქვს კეთილსინდისიერად წარადგინოს განცხადება, პრეტენზია ან საჩივარი ეთიკის კომიტეტში.
2. განცხადების წარდგენა შესაძლებელია:
   ა) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
   ბ) უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ფორმის საშუალებით.
3. ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ განაცხადის ფორმის საშუალებით.

მუხლი 7. კონფიდენციალურობა და შურისძიების დაუშვებლობის პრინციპი

1. ეთიკის კომიტეტი უზრუნველყოფს ყველა განცხადების კონფიდენციალურ განხილვას.
2. აკრძალულია ნებისმიერი სახის შურისძიება იმ პირის მიმართ, რომელმაც კეთილსინდისიერად მიმართა ეთიკის კომიტეტს.
3. შურისძიების დაუშვებლობის პრინციპის დარღვევა განიხილება ეთიკურ დარღვევად.

მუხლი 8. წლიური ანგარიში

1. ეთიკის კომიტეტი ყოველწლიურად ამზადებს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.
2. ანგარიში მოიცავს:
   ა) ჩატარებული სხდომების რაოდენობას;
   ბ) განხილული საკითხების ზოგად კატეგორიებს (პერსონალური მონაცემების გარეშე);
   გ) ძირითად რეკომენდაციებსა და ტენდენციებს.
3. ეთიკის კომიტეტის წლიური ანგარიში ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 9. მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება

1. კომიტეტის საქმიანობა ექვემდებარება ინსტიტუციურ მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ფარგლებში.

2. კომიტეტის რეკომენდაციები გამოიყენება უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკებისა და პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 10. გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ეთიკის კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში მისი გაცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
2. გასაჩივრება არ აჩერებს კომიტეტის რეკომენდაციების მოქმედებას, თუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ სხვა რამ არ იქნება დადგენილი.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. დებულება ძალაში შედის დამტკიცების დღიდან.
3. დებულება ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.